

# 2008 წლის აგვისტო

თუ არა დაითხოვული სააკაშვილის ხსიკეპი, ქვეყნის გამანანებელი ომის თავიდან აცილება შეუძლებელია!

მზართან უთანასწორო ბრძოლაში მრავალი ჯარისკაცისა და მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეინირა, დაიკარგა 135 სოფელი

## საქართველო



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგობივ ბუქდ-უჭი სიფყვაა, ფუილებით და ჭბბბბით ბუბ-თის გაცანა ყუელა უჯდბბბბბბბუ უსბბბბბბბბ.

გამოქვეყნდა 25 ივლისიდან

# რეპრეზენტატივა

ხუთშაბათი, 8 აგვისტო. 2019 წ. №158-159 (8824-8825) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru ფასი 60 თეთრი

## აგვისტოს ომიდან 11 წელი გავიდა

11 წელი სრულდება საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიიდან. 2008 წლის აგვისტოს ომში დაიღუპა 200-ზე მეტი სამოქალაქო პირი, საქართველოს შეიარაღებული ძალების 169 სამხედრო მოსამსახურე და შინაგან საქმეთა სამინისტროს 19 თანამშრომელი. 11 წელია, დევნილად რჩება 30 000-მდე მოქალაქე. ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ზონაში ე.წ. ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევა 2008 წლის ივლისის ბოლოდან დაიწყო, რაშიც მხარეები ერთმანეთს ადანაშაულებდნენ. ერთგვიანი ესკალაციის შემდეგ, 7 აგვისტოს საღამოს, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა

ოსური მხარის პოზიციებზე ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება გასცა. თუმცა, იმავე ღამით, ქართული სამშვიდობო ბატალიონის მეთაურმა მამუკა ყურაშვილმა განაცხადა, რომ ოსური მხრიდან სროლის განახლების გამო მიღებულია ცხინვალის რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის გადაწყვეტილება. აგვისტოს პირველივე დღეებიდან როკის გვირაბთან მობილიზებული იყვნენ რუსეთის 58-ე არმიის წინააღმდეგ. 8 აგვისტოდან დაიწყო ინტენსიური ბრძოლები საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და რუსული რეგულარული არმიის ქვედანაყოფებს შორის.

**ღღას ყველა ომის გმირია, ჩვენ, მებრძოლები კი, აღარავის ვჭირდებით!**



მომდევნო დღეებში რუსეთის ავიაციამ დაბომბა ვაზიანის და სენაკის სამხედრო ბაზები, მარნეულის სამხედრო აეროდრომი, ქალაქი გორი, ფოთის პორტი და კოდორის ხეობა.

12 აგვისტოს შუამავალი საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ და რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა მოსკოვში მოაწერეს ხელი საქართველოში საბრძოლო მოქმედებების დასრულების 6-პუნქტიან შეთანხმებას. ამ დოკუმენტის პირობებს რუსეთი დღემდე არღვევს და უარს ამბობს, ომამდელ პოზიციებზე დააბრუნოს საკუთარი სამხედროები. რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში ჩადენილ უსაძლო, სამხედრო დანაშაულებს იძიებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ფატუ ბენსუდას ოფისი.



2008 წლის აგვისტოს ომიდან 11 წელიწადი გავიდა. ამ ომის გარშემო უამრავი წერილია დაწერილი და სატელევიზიო გადაცემა მომზადებული, მაგრამ შინდისის ბრძოლის, უფრო ზუსტად, სასაკლავოს შესახებ ფართო საზოგადოებისთვის ბევრი დეტალი ცნობილი არ არის. შინდისის თითქმის იგივეა, რაც აფხაზეთის კონფლიქტის დროს – ტამიში, ან დიდ სამამულო ომში – ქერჩი. ეს ის ადგილებია, სადაც ყველაზე მეტი ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა.

გვესაუბრება შინდისის ბრძოლაში გადარჩენილი, სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის საშტაბო ასეულის საკომენდანტო ოცეულის ყოფილი მეთაური შრაბუგუჩია.

08. 10-11 83.

**დავით ზურაბიშვილის, სასულენიფო 5 გაღატაკებისა და სხვათა შესახებ... სივართლე კი ასეთია**

**როგორ გაპატაროთ ზაფხული 6 საქართველოში**

**ამ დღეთა მოვლენაზე მარკ ბერნტი: 8 „მედია საქართველოში კოლარაიზებულია“**



# საქართველოს საგარეო უწყების განცხადება

## 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის მე-11 წლისთავთან დაკავშირებით



ბანცხადებამ ალნიშნულია, რომ 2019 წლის 7 აგვისტოს 11 წელი შესრულდა რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციისა და საქართველოს განუყოფელი რეგიონების — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის უკანონო ოკუპაციის შემდეგ.

„11 წლის წინათ, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმების სრული უგულებელყოფით განხორციელებული სამხედრო აგრესია წარმოადგენდა სუვერენული სახელმწიფოს საზღვრების ძალისმიერი გზით შეცვლის მცდელობას, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა რეგიონისა და მთლიანად ევროპული უსაფრთხოების სისტემას. რუსეთის ფედერაციას ჯერ კიდევ არ აქვს შესრულებული ვეროკავშირის შუამდგომლობით 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და კვლავ აგრძელებს საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას, მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის მუდმივი მოწოდებებისა. სრულად უგულებელყოფს რა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს საქართველოს ტერიტორიიდან ჯარების გაყვანის თაობაზე, მოსკოვი კიდევ უფრო აძლიერებს თავის უკანონო სამხედრო ყოფნას ადგილზე და ხელს უშლის უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნას საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში.“

ამასთან, დგამს ნაბიჯებს საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დეფაქტო ანექსიის მიმართულებით, პარალელურად კი ცდილობს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა იზოლაციაში მოაქციოს დანარჩენი საქართველოსგან. ამ მიზნით რუსეთის ფედერაცია მიზანმიმართულად აგრძელებს საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართებისა და ხელოვნი ბარიერების აღმართვას, ეწევა დასასვლელი პუნქტების დახურვას, თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვას, ადგილობრივი მოსახლეობის გატაცებისა და უკანონო დაკავების პრაქტიკას, რითაც უხეშად არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს და გაუსაძლის ხდის კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ისედაც რთულ ჰუმანიტარულ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. შემოფოთებას იწვევს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში დარჩენილი ქართველი მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია და შევიწროება, მათ შორის, მშობლიურ ენაზე განათლების აკრძალვა და ღირსების შელახვა, ეთნიკური იდენტობის შეცვლის იძულების გზით. კიდევ უფრო საგანგაშოა ეთნიკურ ნიადაგზე წამებისა და მკვლელობის შემთხვევები, რასაც ადასტურებს დავით ბაშარულის, გიგა ოთხოზორიასა და არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები. აღნიშნულ საქმეებზე

დაუზღველობის სინდრომის დამკვიდრებამ შესაძლებელი გახადა ირაკლი კვარაცხელიას გარდაცვალება უკანონო ტყვეობაში, ოკუპირებულ აფხაზეთში განთავსებულ რუსეთის სამხედრო ბაზაზე. განსაკუთრებულ წუხილს იწვევს ის ფაქტი, რომ ეთნიკური წმენდის არაერთი ტალღის შედეგად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან გამოდევნილი ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირი და ლტოლვილი კვლავაც მოკლებულია საკუთარ სახლში უსაფრთხო და ღირსეულად დაბრუნების შესაძლებლობას. ამ ფონზე კიდევ უფრო აშკარაა ოკუპირებულ რეგიონებში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შესვლისა და მანდატის სრულად განხორციელების აუცილებლობა, აგრეთვე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების შეუზღუდავი წვდომის საჭიროება. არსებული გამოწვევების პასუხად, საქართველოს მთავრობა განუხრელად აგრძელებს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკას, მოლაპარაკებებისა და დეესკალაციისაკენ მიმართული ძალისხმევის გზით. საქართველომ სრულად შეასრულა 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობები და ცალმხრივად არაერთხელ დაადასტურა ძალის არგამოყენების ვალდებულების მიმართ ერთგულე-

ბა, რუსეთის მხრიდან ანალოგიური საპასუხო ნაბიჯის მოლოდინში. იმ ფონზე, როცა რუსეთის ფედერაცია მიზანმიმართულად ცდილობს სამშვიდობო მოლაპარაკებების ფორმატების დაზიანებას, საქართველო განაგრძობს კონსტრუქციულ ჩართულობას შენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში და ძალისხმევას არ იშურებს რუსეთის უკანონო ოკუპაციის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული პრობლემების გადასაჭრელად. პარალელურად, საქართველოს მთავრობა დგამს ნაბიჯებს ომითა და საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის შერიგებისა და ნდობის აღდგენის უზრუნველსაყოფად, რისი ინიციატივაა სამშვიდობო დიალოგის დასაწყისად აღიარებულ საზღვრებში, შეცვალოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ უკანონო გადაწყვეტილება, გადადგას შესაბამისი ნაბიჯები საქართველო-რუსეთის ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, კონფლიქტის დიალოგის გზით მოწესრიგებისა და რეგიონში მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით. საგარეო საქმეთა სამინისტრო სარგებლობს შემთხვევით და სამძიმარს უცხადებს 2008 წლის ომში გამირულად დაღუპული მებრძოლებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ოჯახებსა და ახლობლებს“, — აღნიშნულია საგარეო უწყების განცხადებაში.



### უკრაინა რუსეთს საქართველოს ტერიტორიების ოკუპირებისთვის აკრიტიკებს

აშპისტმოს ომს უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო ეხმაურება და რუსეთს საქართველოს ტერიტორიების ოკუპირებისთვის აკრიტიკებს. „საგარეო საქმეთა სამინისტრო მკაცრად გამოხატავს რუსეთის ომს საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც 2008 წლის 7 აგვისტოს დაიწყო, საქართველოს სუვერენული ტერიტორიების, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მიმდინარე უკანონო ოკუპაციას, ასევე საოკუპაციო რეჟიმის მიერ გადაადგმულ ნაბიჯებს, რომელიც მათ ფაქტობრივ ანექსიას ისახავს მიზნად“, — ნათქვამია უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

### რუსეთი ისევ აბრძოლებს მსოფლიო ანექსიას და ოკუპაციას

ლინეტაშვილის საგარეო საქმეთა მინისტრი ლინას ლინკვიჩიუსი 2008 წლის აგვისტოს ომის 11 წლისთავზე საქართველოს მხარდამჭერ განცხადებას ავრცელებს. „თერთმეტი წლის შემდეგ, საქართველოზე წინასწარ განზრახული აგრესიის განხორციელებიდან, რუსეთი აგრძელებს მცოცავ ანექსიას და საქართველოს ტერიტორიების 20 %-ის ოკუპაციას. სამწუხაროდ, ამ გაკვეთილით ვერ ვისწავლეთ და ამას ყირიმი და დონბასი მოჰყვა. ამას არასდროს შევურიგდებით“, — წერს ლიეტაშვილის საგარეო საქმეთა მინისტრი მიკრობლოგ „ტვიტერზე“.

### საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები არ უნდა იყოს დაფინანსებული

— ამის შესახებ ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომელიც სოციალურ ქსელში 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის 11 წლისთავს ეხმაურება. ნორვეგიის საგარეო უწყება საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მტკიცე მხარდაჭერას გამოხატავს. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები არ უნდა იყოს დაფინანსებული. საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ ჩვენი მხარდაჭერა კვლავ მტკიცეა“, — ნათქვამია ნორვეგიის საგარეო უწყების მიერ „ტვიტერში“ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

### გორში აგვისტოს ომის სახელობის ქალაქი გაიხსნა

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის 11 წლისთავთან დაკავშირებით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ინიციატივით, გორში აგვისტოს ომის სახელობის კედელი გაიხსნა. სტენსილი აგვისტოს ომის 11 წლის თარიღს ეძღვნება, რომლის იდეასა და შესრულებაზე გიორგი გაგოშვიძე იმუშავა. კედელი, რომელსაც ნატყვიარევი 11 წლის შემდეგაც ეტყობა, რუსეთ-საქართველოს ომის თემატიკით და სიმბოლოებით არის დატვირთული, რომელიც მნახველს კიდევ ერთხელ შეახსენებს რუსულ ოკუპაციას. თბილისის შემდეგ ეს უკვე მეორე სტენსილია, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ინიციატივით შეიქმნა.



საქართველოში არსებობს ერთგვარი დაბნეულობა 2008 წლის ომის დაწყების თარიღთან დაკავშირებით. ადამიანები ომის დაწყების დღედ ხან 7, ხან 8 აგვისტოს ახსენებენ, თითქოს ამ ორ თარიღს შორის განსხვავება არ იყოს. სინამდვილეში, მათ შორის არის საკვანძო, პრინციპული განსხვავება. 7 აგვისტო არის დღე, როცა რუსული ჯარი რეალურად შემოიჭრა საქართველოში და ამით დაიწყო ომი საქართველოს წინააღმდეგ. 8 აგვისტო კი არის თარიღი, რომელსაც მოსკოვი იტყუება – თითქოს სამხედრო ოპერაცია საქართველოს წინააღმდეგ მან სწორედ ამ დღეს დაიწყო და არა – მანამდე.

ამ ტყუილს აქვს ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიზანი. მისი მეშვეობით რუსეთი აცხადებს, თითქოს მისი თავდასხმა საქართველოზე დაიწყო მხოლოდ მას მერე, რაც თბილისმა წამოიწყო სამხედრო ოპერაცია ცხინვალის რეგიონში. ქართველთა მხრიდან რუსეთის ამ ტყუილის მხარდაჭერა ომის დაწყების თარიღად 8 აგვისტოს ხსენებით, არის გაუგონარი სისულელე და დაუდევრობა. ისტორიასთან და ფაქტებთან ზერეულ დამოკიდებულება, რომელიც ხშირად გვახასიათებს, ამ შემთხვევაში არის პირდაპირი მავნებლობა საკუთარი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ და რუსული დეზინფორმაციის მხარდაჭერა.

როგორც 2012 წელს ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, საქართველოსთან ომის გეგმა რუსულმა გენშტაბმა მოამზადა 2006 წლის ბოლოს და 2007 წლის დასაწყისში. ამ გეგმის პრაქტიკული განხორციელება მოსკოვმა 2008 წელს გადაწყვიტა. საქართველოს მზარდი ურთიერთობა დასავლეთთან ნიშნავდა იმას, რომ ცოტა ხანში მისი დაიწყო ომი საქართველოს წინააღმდეგ. როგორც უკიდურესად რთული გახდებოდა. მოსკოვისთვის ასეთი პერსპექტივა მიუღებელი იყო. ყოფილ საბჭოთა ქვეყნებზე რაიმე ფორმით კონტროლის აღდგენა მისი საკვანძო სტრატეგიული მიზანია. საქართველოზე სამხედრო თავდასხმა იყო ის ქმედითი დარტყმა, რომელიც რუსეთმა შეაყვინძა საქართველოს მისგან სამუდამო „გაქცევა“.

2008 წლის 7 აგვისტოს დილით რუსეთის რეგულარულმა არასამხედრო სამხედრო ძალებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვარი როკის გვირაბის გზით და შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ეს ფაქტი დასტურდება მრავალი წყაროთი, რომელთა შორის არის: რუსულ პრესაში გაფორმებული ინფორმაცია მთელი რიგი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი წყაროდან; ოფიციალური რუსული სისხლის სამართლის გამოძიება, რომელიც ეხება რუსი ჯარისკაცის სიკვდილს საქართველოს ჯავის რაიონში 7 აგვისტოს დილით; სოხუმის რეგიონის მეთაურის სერგეი ბალაფშის მიერ გაკეთებული განცხადება; და ქართული მხარის მიერ ჩანერგილი სატელეფონო საუბრები ცხინვალის რეგიონის „მესაზღვრეებს“ შორის, რომელიც ეხება 7 აგვისტოს ადრე დილით საქართველოში როკის გვირაბით შემოსულ რუსულ სამხედრო კოლონას. უფრო დანერვილებით ამ ფაქტებს შეგიძლიათ გაეცნოთ ჩემს სტატიაში, რომელიც ეძღვნება 2008 წლის ომის დაწყებას.

საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, ერთი სახელმწიფოს სამხედრო ძალების შეჭრა მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე, წარმოადგენს აგრესიას. ამავდროულად საქართველოს მიხედვით, სახელმწიფოს, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება აგრესია, აქვს თავდაცვის უფლება. საქართველომ



# როგორ რისხვები დაიწყო 2008 წლის ომი?

ამ უფლებით ისარგებლა 7 აგვისტოს, გვიან საღამოს, როდესაც თბილისმა დაიწყო რუსული აგრესიის საპასუხო სამხედრო ოპერაცია ცხინვალის რეგიონში. რუსული ჯარი საქართველოში უკანონოდ შემოჭრილი იყო ამ ქართული ოპერაციის დაწყებამდე, სულ მცირე, 19-20 საათით ადრე. როკის გვირაბი, რომლის გავლით, 7 აგვისტოს, რუსულმა ჯარმა დაიწყო თავდასხმა საქართველოზე.

ადამიანები, რომლებიც სათანადოდ ვერ აფასებენ 7 აგვისტოს თარიღის მნიშვნელობას, ზოგჯერ ხაზს უსვამენ იმას, რომ რუსი ჯარისკაცები საქართველოში უკანონოდ 7 აგვისტოს წინა დღეებშიც იყვნენ შემოსული. სავარაუდოდ, ეს მართლა ასეა. თუმცა, არის ფაქტორები, რის გამოც ეს წინა დღეები არ არის გამორჩეული, ხოლო 7 აგვისტო – არის.

ერთი ასეთი ფაქტორი ისაა, რომ კონკრეტულად 7 აგვისტოს საქართველოში რუსული ჯარის ყოფნაზე ძალიან ბევრი და მრავალფეროვანი საჯაროდ ხელმისაწვდომი წყარო მიუთითებს, რის შედეგადაც მაგ დღეს რუსული აგრესიის ფაქტი უტყუარია. წინა დღეების შესახებ კი ამას ვერ ვიტყვით. მეორე ის არის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სწორედ 7 აგვისტოს მიიღო დადასტურებული ცნობები შემოჭრილი რუსული ჯარის შესახებ, რის პასუხადაც დაიწყო ქართული სამხედრო ოპერაცია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 7 აგვისტოს საქართველოში შემოჭრილმა რუსულმა ძალებმა წამოიწყეს სწორედ ის სამხედრო შეტევა საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც უწყვეტად გაგრძელდა ომის მომდევნო დღეების მანძილზეც. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ომის დაწყების დღე არის არა 2 ან 5 აგვისტო, არამედ სწორედ 7 აგვისტო.

კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც ზოგჯერ გაისმის: საქართველოს ნებისმიერ შემთხვევაში ჰქონდა საკუთარ ტერიტორიაზე ნესრიგის დამყარების უფლება. ეს მართლაც ასეა, თუმცა იმას, რისი უფლებაც თეორიულად ჰქონდა საქართველოს, არავითარი კავშირი არ აქვს რეალურ ისტორიულ ფაქტებთან, რაც მოხდა 2008 წლის აგვისტოში. ეს ფაქტები კი ისაა, რომ თბილისმა სამხედრო ოპერაცია მხოლოდ მას მერე დაიწყო, რაც 7 აგვისტოს განმავლობაში არაერთხელ მიიღო ცნობა საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილი რუსული ჯარის შესახებ.

ომიდან მოყოლებული დღემდე რუსეთი 8 აგვისტოს გააზრებულად და თანამიმდევრულად ომის დაწყების დღედ



ასაღებს. ის მუდამ ავრცელებს ნარატივს, თითქოს რუსული სამხედრო ოპერაცია საქართველოს წინააღმდეგ დაიწყო ქართული ოპერაციის დაწყების შემდეგ და არა მანამდე, როგორც სინამდვილეში მოხდა. მთელი რუსული დეზინფორმაცია, პროპაგანდა და დიპლომატიური ძალისხმევა 2008 წლის ომთან დაკავშირებით ამ ტყუილზეა აგებული. ნამდვილი ისტორიული თარიღი – 7 აგვისტო – ამსხვრევს მთელ ამ კონსტრუქციას, რომელიც რუსეთმა აგრესიის მსხვერპლ საქართველოს ომში დასადასნაშაულებლად ააგო.

დიდი რესურსებით მხარდაჭერილი საინფორმაციო ომის დასმარებით, 2008 წლის ომის შემდგომ პერიოდში რუსეთმა შეძლო იმ ტყუილის ფართოდ გავრცელება, თითქოს მისი შეჭრა საქართველოში დაიწყო ქართული სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ და არა – მანამდე. თუმცა, ბოლო წლებში ბევრი რამ შეიცვალა. ერთი მხრივ, ცნობილი გახდა ზოგი ახალი ფაქტი რუსული აგრესიის შესახებ. მეორე მხრივ, უკრაინაში აგრესიის, დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებზე თავდასხმის, და მოსკოვის ბევრი სხვა აგრესიული აქტის შედეგად, დღეს დასავლეთში ხდება რუსეთის საგარეო პოლიტიკის უფრო ადეკვატური შეფასება, ვიდრე წინა წლებში.

ასეთ დროს ქართველები ჩვენს სიმართლეს ცხადად და გარკვევით უნდა ვამბობდეთ. ეს, წესით, ადვილი უნდა იყოს, როდესაც ისტორიული ფაქტები ობიექტურად შეგვენაა, როგორც ამ შემთხვევაშია. თუმცა იმისთვის, რომ ეს გამოიყენო, ეს ისტორიული ფაქტები ჯერ თავად უნდა გქონდეს გააზრებული. ამ მხრივ კი, ჩვენ ძალიან დიდი პრობლემები გვაქვს. ამის თვალსაჩინო ნიმუშია ის მუდმივი დაბნეულობა, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით 2008 წლის ომის დაწყების თარიღთან დაკავშირებით, როდესაც ადამიანები ასეთ დღედ ხან 7 აგვისტოს ასახელებენ, ხანაც 8 აგვისტოს ისე, რომ არ ესმით პრინციპული პოლიტიკური მნიშვნელობის სხვაობა ამ ორ თარიღს შორის.

საქართველოს ხელისუფლებას და, ზოგადად პოლიტიკურ ელიტას, უპირველეს ყოვლისა, აკისრია პასუხისმგებლობა, არ უშვებდეს უხეშ შეცდომებს ამგვარ ელემენტარულ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, ეს პასუხისმგებლობა დანარჩენ საზოგადოებასაც გვაკისრია.

ამ შემთხვევაში საუბარი არ არის ჩახლართულ და გაუგებარ რამეზე. 7 აგვისტო, როგორც 2008 წლის ომის დაწყების დღე, არის ობიექტური ისტორიული ფაქტი, რომელიც ამსხვრევს ომის დაწყების ყალბ რუსულ ვერსიას. ომის 8 აგვისტოს დაწყება კი არის მოსკოვის ავრცელებული ტყუილი, რომელსაც მისი პროპაგანდისტული და დიპლომატიური მანქანა იარაღად იყენებს საქართველოს წინააღმდეგ. წესით, არჩევანის გაკეთება ძნელი არ უნდა იყოს.

დავით ბატაშვილი, რონდელის ფონდის მკვლევარი

## „არ უნდა დაგვაპინდოს სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების უგუნური, პროპაგანდული ქმედებები, რომლებიც აგვისტოს ომის საბაზი გახდა“

საქართველომ უნდა გააბრკალოს გონივრული და არაბრბატული პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში, მაგრამ ამავედროულად მოსახლეობაში სიმართლე უნდა იცოდეს იმ ომის შესახებ, რომელიც ჩვენს ქვეყანას 11 წლის წინათ გადასცა, – ამის შესახებ ექსპერტი ლევან ნიკოლეიშვილი „ფაქტბუქის“ გვერდზე წერს.

„არავის ეპარება ეჭვი იმაში, თუ ვინ დაიწყო ომი, ცხადია, რუსეთმა და არა 11 წლის წინათ, მაგრამ ამავდროულად არ უნდა დაგვაპინდოს მანამდელი ხელისუფლების, კერძოდ კი სააკაშვილის უგუნური და პროპაგანდული ქმედებები, რომელიც აგვისტოს ომის საბაზი გახდა. დღეს ამაზე საუბარს ყველა ერიდება, „ნაცებმა“ რუსეთში იქონია არ დაგვაბრალდოსო. არა და სიმართლე აუცილებლად უნდა ითქვას. ამ ომმა საქართველოში რამდენიმე ძირითადი მოქმედი პირი წარმოაჩინა: გმირულად მებრძოლი ჩვენი ჯარისკაცები და ოფიცრები, გმირულად დაღუპული ჩვენი ულამაზესი გოგონები, მსხვერპლად შეწირული მშვიდობიანი მოსახლეობა, ლაჩარი, თავის ხალხსა და ჯარის მოღალატე ხელისუფლება, უბატონო ცხედრები (გაიხ-

სენეთ, რომ არა საპატრიარქოსა და სამღვდლოების ძალისხმევა როგორ იყვნენ მიტოვებულნი). ამ დროს რუსთაველზე ხელისუფლება სავარაუდოდ თავის გადარჩენას ზემოხედა, აღნიშნეს კიდევ „ამოვისუნთქეთო“. ოპოზიციამაც მორატორიუმი გამოუცხადა, ამოისუნთქავდნენ, აბა რა. მანამდე რატომ არ გამოიყენეს ყველა საერთაშორისო ტრიბუნა თუ ბერკეტი, გაერო თუ პარტინორი ქვეყნები? ალბათ, იმიტომ, რომ თავისი ტრიბუნა და დროშები ჰქონდათ გამზადებული ცხინვალში გასამართლი მიტინგისთვის. რატომ ერეოდნენ სამხედროების საქმეში და ყოველწუთიერად ცვლიდნენ გეგმებს, ბოლო მომენტში კი ბედის ანაბარა მიატოვეს მართლაც გმირი ბიჭები. რატომ იყო, რომ შსს-ს მანამდელი მინისტრის მოადგილემ ეკა ზღვლაძემ სისხარულით გვამცნო, ნუ გეშინიათ, ტანკმა ორჭოსანში აუხვიაო. ორჭოსანი და დანარჩენი საქართველო არაფერში არ ენაღვლებოდათ. მთავარი იყო მათ კაბინეტებსა და თანამდებობებს არ გასჩენოდათ საფრთხე. ვინ არის იმ მილიონობით ღირებულების სამხედრო ტექნიკაზე და ქონებაზე პასუხისმგებელი, რომელიც

ლანგარზე ალაფის სახით დაუტოვეს რუსეთის ჯარს. საქართველოს ტერიტორიის 20 %-ს ქვადორდი უწოდეს მოგვიანებით. დღეს კი ანტისაკუთმაცხო დროშის ფრიალს ბედავენ. ძნელია, ძალიან ძნელი, დაიჯერო იმ ხალხის, ვინც ომის საფრთხე ვერ აიცილა, ვინც მიუხედავად ყველას გაფრთხილებისა ( მარტო აშშ-ს მაშინდელი სახელმწიფო მდიანის კონდოლიზა რაისის გაფრთხილება რად ღირს!), ძნელია, დაიჯერო იმ ხალხის, როცა ბიჭების ცხედრები უბატონოდ იყო მიტოვებული, რუსთაველზე საკუთარი თავის გადარჩენას რომ ზემოხედა. ძნელია, დაიჯერო იმ ხალხის, რომელმაც გაყვანილი რუსული ბაზების მაგივრად ისევე, ოღონდ ამჯერად რუსეთის ჯარები სხვა რაკურსით შემოიყვანა. დიხსაც, საქართველომ უნდა გააგრძელოს გონივრული და პრაგმატული პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში, მაგრამ ამავდროულად მოსახლეობამ სიმართლე უნდა იცოდეს იმ ომის შესახებ, რომელიც ჩვენს ქვეყანას 11 წლის წინათ გადასცა – ვინ იყო მართლაც გმირი და ვინ მსხვერპლი, ვინ არის დამნაშავე, ლაჩარი და ვინ უგუნური“, – წერს ლევან ნიკოლეიშვილი.



### ტაქსისტებო, ვაუჩერების გაცემის ვალა 10 აგვისტოს იწურება!

თბილისის მერი კახა კალაძე ტაქსის მძღოლებს ფირის გადაკვრისა და ქიმშენდის ვაუჩერების მიღების პროცესში აქტიურობისკენ მოუწოდებს.

კახა კალაძე მუნიციპალიტეტის მთავრობის გუშინ დელ სხდომაზე ტაქსების რეფორმის საკითხს კიდევ ერთხელ გამოეხმაურა და ტაქსის მფლობელებს ვაუჩერების გაცემის ვადის ამოწურვის შესახებ შეახსენა.

„მინდა, მივმართო ლიცენზიის მქონე ყველა ტაქსის მძღოლს, იაქტიურეთ, რადგან 10 აგვისტოს ვაუჩერების გაცემა იწურება. მთავრობის ყველა სხდომაზე ამასთან დაკავშირებით ვაკეთებ განცხადებებს. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებგვერდზე - taxi.tbilisi.gov.ge-ზე, სადაც დეტალურად მიიღებთ ინფორმაციას, თუ სად არის შესაძლებელი როგორც ფირის გადაკვრის, ასევე, ქიმშენდის ვაუჩერების მიღება“.

მისივე თქმით, ტაქსების რეფორმის მეორე ეტაპი პირველი ოქტომბრიდან შედის ძალაში.

### მერიის სერვისებს თქვენს რაიონებში შექმნილ სპეციალურ სერვისცენტრებში მიიღებთ

თბილისის მერია მომდევნო კვირიდან ახალი პროექტის განხორციელებას იწყებს, რომლის ფარგლებში მოქალაქეები

ლაქები თბილისის მერიის სერვისების მიღებას სპეციალურ სერვისცენტრებში შეძლებენ, რომელიც დედაქალაქის ათივე რაიონში გაიხსნება.

ამის შესახებ თბილისის მთავრობის სხდომაზე გუშინ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ ისაუბრა.

„ორშაბათიდან ვიწყებთ ახალი პროექტის განხორციელებას. ქალაქის ათივე რაიონში შეიქმნება სპეციალური სერვისცენტრები, სადაც ადამიანებს, დღეს რომ ყველას მერიაში უნევთ მოსვლა, ამის საჭიროება აღარ იქნება და თავიანთ რაიონებში ექნებათ შესაძლებლობა, მივიდნენ სერვისცენტრებში და მიიღონ ყველა მომსახურება, რაც მერიაში. წლის ბოლოსთვის უკვე ათივე რაიონში გვექნება გამართული ცენტრები. მაგალითად, გლდანის რაიონში მცხოვრებ ადამიანს არ მოუწევს მერიაში მოსვლა. ის მივა თავის რაიონში და მიიღებს ყველანაირ სერვისს. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროექტის განხორციელება, ადამიანებს ცხოვრებას გაეუადვილებთ“, - განაცხადა კახა კალაძემ.

### ვაშლიჯვრის ესტაკადაზე ლიფტები და კიბის უჯრელები მოეწყობა

თბილისში, ვაშლიჯვრის ახალ ესტაკადაზე შუშ პირები და ქვეითები სპეციალური ლიფტით და კიბეებით შეიქმნება და დაადაგილებს. ეს სიახლე მოსახლეობას დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ „ფეისბუქის“ პირად გვერდზე ვიდეომიმართვაში გააცნო.

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, მარშალ გელოვანის გამზირისა და ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი ახალი ესტაკადის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, გელოვანის გამზირზე მოძრაობა განიტვირთა. შედეგად მძღოლებს საცობებში დგომა აღარ უწევთ. ესტაკადაზე ფეხით მოსიარულეთა გადაადგილების

პრობლემაც მოიხსნა. თბილისის მერმა ვიდეომიმართვაში რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, ესტაკადის მიმდებარედ სკვერის მოწყობასა და შუქნიშნის გაუქმებაზე.

„აქ არის კონკრეტული სივრცე, რომელიც პროექტის განხორციელების დროს გამოყენებული იყო როგორც სამშენებლო მოედანი. ადგილობრივმა მოსახლეობამ გვთხოვა, შეგვექმნა დასასვენებელი ადგილი და ამას გავაკეთებთ. სამშენებლო სამუშაოები ამ ტერიტორიაზე დასრულებულია. ამდენად, სკვერის მოწყობას უახლოეს პერიოდში დავიწყებთ. გარდა ამისა, გვაქვს რამდენიმე სიახლე: გელოვანის გამზირზე არსებული შუქნიშანი დროებით მოქმედი დავტოვებთ, რათა ფეხით მოსიარულეებს გამზირის მეორე მხარეს გადასვლა შეძლებოდათ. ამასთან, პოლიციის სამმართველოსთან ამოწვავალი ავტომანქანები მარშალ გელოვანის გამზირზე გადაადგილებას ვეღარ შეძლებდნენ. პროექტის ფარგლებში, ფეხით მოსიარულეებისთვის ესტაკადაზე ასასვლელი კიბეები მოეწყობა. შესაბამისად, აღნიშნული შუქნიშანი გაუქმდება და ავტომანქანები მარშალ გელოვანის გამზირზე შეფერხების გარეშე გადაადგილდებიან. კიბის უჯრედების მოწყობის გარდა, შუშ პირებისთვის სპეციალური ლიფტებიც დავაყენებთ“, - განაცხადა დედაქალაქის მერმა.

### იწყება სოცნსე დადიანისა და თამარ მეფის გამზირების ერთმანეთთან დაკავშირების პროექტის განხორციელება

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, კახი კალაძემ გუშინ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე ისაუბრა.

„სოცნსე დადიანის გამზირისა და თამარ მეფის გამზირის ერთმანეთთან დაკავშირებას განვიხილავთ. ამასთან დაკავშირებით ფრანგულმა კომპანია „სისტრამ“, რომელიც აყვანილი გვეყავს და გვეთანამშრომლებს, რათა ქალაქში მოწესრიგებული იყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი და მარშუტების მიმართულება, პროექტი დასამუშავებლად მოგვცა, ანუ ჩვენ პროექტი უნდა დავამუშაოთ, რამდენად იქნება შესაძლებელი იმის განხორციელება, რომ დადიანის გამზირი თამარ მეფის გამზირს დავაკავშიროთ. შესაბამისად, ნაკადები თამარ მეფის ხიდზე გადმოვა“, - აღნიშნავს კალაძე.

### ეროვნული გამოცდები ახალი მოდელით

ბანათელის კომპლექსური რეფორმის ფარგლებში, 2020 წელს აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებს ახალი მოდელით ჩააბარებენ. ახალ მოდელთან დაკავშირებით პრესკონფერენცია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა სოფო გორგოძემ გამართეს.

სამინისტროს განმარტებით, ახალი მოდელი გულისხმობს, ერთი მხრივ, გამოცდების რაოდენობის შემცირებას ოთხი სავალდებულო გამოცდიდან სამ გამოცდამდე და, მეორე მხრივ, აბიტურიენტების მზაობის უკეთ შეფასებას კონკრეტული პროგრამისთვის.

ერთიანი ეროვნული გამოცდების ახალი მოდელით, აბიტურიენტები სამ სავალდებულო გამოცდას შემდეგ საგნებში ჩააბარებენ: ქართული ენა და ლიტერატურა; უცხოური ენა. მესამე გამოცდა კი, დამოკიდებული იქნება პროგრამებზე: ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მიმართულებებზე აბიტურიენტები მათემატიკას, ჰუმანიტარულზე - ისტორიას, ხოლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სოციალური ან საზოგადოებრივი მეცნიერების არჩევსას, ისტორიას ან მათემატიკას ჩააბარებენ. ასევე, უმაღლესი სასწავლებლები, სურვილის შემთხვევაში, მეოთხე გამოცდას შემდეგი საგნებიდან დაანესებენ: ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ზოგადი უნარები, გეოგრაფია, ლიტერატურა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, სამოქალაქო განათლება.

სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების ინციტაციის გათვალისწინებით ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამებზე სავალდებულო ოთხი გამოცდა იქნება: ქართული ენა და ლიტერატურა; უცხოური ენა; ბიოლოგია; მათემატიკა/ქიმია/ფიზიკა (აბიტურიენტი ირჩევს სულ მცირე, ერთს). მეოთხე საგნისთვის გამოყოფილი იქნება კვოტირებული ადგილები, თითოეულ საგანზე არანაკლებ 30 პროცენტისა.

სამინისტროს ინფორმაციით, აზერბაიჯანული და სომხურენოვანი აბიტურიენტების ჩარიცხვა ძველი ფორმატით გაგრძელდება. რაც შეეხება გრანტებს, სტუდენტებისთვის გრანტი სამი საგნის შედეგის მიხედვით გაცივება. თუმცა, თუ უმაღლესმა სასწავლებელმა მეოთხე საგანი მოითხოვა, აბიტურიენტს დაფინანსების მოპოვების კიდევ ერთი შესაძლებლობა ექნება.

## MyMagti

შეავსე ანგარიში  
შეამოწმე ბალანსი  
ჩართე სერვისები/პაკეტები  
დაამატე TV არხები  
გაზარდე ინტერნეტსიჩქარე

მაგთის ოფისი უნდა სპარტოვოები

**რისკულად დაპირებული ზურაბიშვილი უბრალოდ, 20 ივნისის მოვლენებს გადატრიალების მცდელობად მხოლოდ რეგენერირება და უფიციო თუ შეაფასებს. სამწუხაროა, კაცი, რომელიც ამდენი ხნის მანძილზე ქართულ პოლიტიკაში ზრდილობით მაინც გამოირჩეოდა, მისგან განსხვავებულ შეხედულებებს მქონე ადამიანებს შეუარაცხმეოფელი ეპითეტით უმასპინძლებდა. რა უნდა ვთქვათ ამას? ალბათ, არც არაფერი. ნათქვამი თავად მეტყველებს ავტორზე. თუ რესპუბლიკის ძველ გვარდიელს ახალი იმიჯი უხერხულობას არ უქმნის, მისი პირადი პრობლემაა.**

დავით ზურაბიშვილი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, რაიმე ღირებულს არ წარმოადგენს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში (კაცმა რომ თქვას, ამ მხრივ არც სხვაზე უკეთესია, არც უარესი). იგივე ითქმის „პარტიზანზე“, რომელსაც იგი წარმოადგენს. საზოგადოება, რამდენიმე ათწლეული წელია, თვალს ადევნებს მის საქმიანობას და ყოველ ახალ არჩევნებზე სათანადო შეფასებასაც აძლევს. ეს შეფასება სტაბილურ 1,5-2.0 პროცენტს არასოდეს ასცილებია და ისიც მაშინ, როცა სხვებთან შედარებით მაღალი ინდივიდუალური რეიტინგის მქონე დავით უსუფაშვილი გახლდათ რესპუბლიკელთა ლიდერი. დღევანდელი მოცემულობით, ეს პარტია, ჯერ კიდევ შემორჩენილი რამდენიმე წევრით, ჭირისუფლისგან სამარის პირას დავინყებულ მიცვალებულს წააგავს, რომელსაც ქარის დაქროლვაზე ხანდახან თმა უღივლივებს და მავანს ჯერ კიდევ ცოცხალი ჰგონია. ასეთი გაუსვენებელი გვამპარტიებით სავსეა ჩვენი პოლიტიკური პანოპტიკუმი და ხარაბუზა რესპუბლიკის პირველები არიან, არც უკანასკნელები.

მაშინ რა გრჯის და პოლიტიკურ ნულებზე რატომ იხარჯებიან, მკითხავთ, ალბათ.

დავით ზურაბიშვილს, როგორც პოლიტიკოსს, არ ვესმარებ. მოქალაქე დავით ზურაბიშვილს ვუპასუხებ, რომელსაც ვერც განათლებას, ვერც ერუდიციას და ინტელექტს ვერაფერ დაუნუნებს, მაგრამ, როცა დავით ზურაბიშვილი საჯაროდ ამტკიცებს, 20 ივნისის ამბები გადატრიალების მცდელობას არანაირად არ წარმოადგენდა, ამის გატარება, ვფიქრობ, არ შეიძლება.

დავით ზურაბიშვილს სასაცილოდ არ ჰყოფნის, რომ 17 წლის წინათ ხელისუფლება იმის გამო კი არ შეიცვალა, ვიღაცები პარლამენტში რომ შევიდნენ, არამედ იმიტომ, რომ პრეზიდენტი გადადგა და მოვალეობის შესრულება, კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის თავმჯდომარეს დაეკისრა.

რა უნდა ვთქვათ ამ არგუმენტის შესახებ?

პირველ რიგში ის, რომ 20 ივნისის შედარებას 2003 წლის 22 ნოემბერთან აქვს არა აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი ხასიათი. მთავარ მსგავსებაზე, კერძოდ, იმაზე, რომ ორივე შემთხვევაში მოხდა პარლამენტის შენობაში შეჭრა და ეს განხორციელდა სამართალდამცველთა წინააღმდეგობის დაძლევის ხარკზე.

22 ნოემბერს საქმე მხოლოდ მუჯღლუ-გუნებთა და შედარებით მსუბუქი შესლა-შემოსლით ამოიწურა, განსხვავებით 20 ივნისისგან, როცა მომიტინგეებმა ნამდვილი შტურმი განახორციელეს სპეცრაზმის წინააღმდეგ. 22 ნოემბერს დატრიალდა შეჭრილმა ხალხმა ჩაშალა პარლამენტის სხდომა, 20 ივნისს კი მათ შენობის დაკავებაში ხელი შეუშალა სპეცრაზმელთა მიერ ოპერატიულად მიღებული ზომებმა. რატომ ვთვლი, რომ 20 ივნისის ამბები შეიძლება შეფასდეს, როგორც მომიტინგეთა რადიკალურად განწყობილი ჯგუფის მიერ განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა?

თავად განსაჯეთ: იმთავითვე ნათელი იყო, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ 2012 წლის 1 ოქტომბრიდანვე დაადაგა რევანში-სა და ხელისუფლებაში დაბრუნების გზას. რევანშისტულ განწყობასა და ხელისუფლებაში დაბრუნებაში ანტიკონსტიტუციური თავისთავად არაფერია, თუ იგი არჩევნების გზით განხორციელდება. 2012 წლის წლის შემდეგ ჩატარებულ ყველა არჩევნებში, რომლის სამართლიანობის ხარისხი ადრინდელზე ბევრად მაღალია, ნაცმომ წარმატებას ვერ მიაღწია. პარტიის ბევრი ლიდერი და მასთან ასოცირებული,

ფორმალურად აპოლიტიკური ადამიანები (მაგალითად, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ყოფილი გენდირექტორი ნ. გვარამია) ხშირად საუბრობენ ხელისუფლების დამხობის, მის წინააღმდეგ იარაღის აღებისა და აქტიური ოპონენტების მიმართ ანგარიშსწორების შესახებ. ეს ხდება არა კულუარულ შეხვედრებზე, არამედ ღიად, მიტინგებზე, სოციალურ ქსელსა და სატელევიზიო ეთერში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ყოფილი მმართველი გუნდი პოლიტიკური პროცესების განვითარების ერთ-ერთ (თუ არა საერთოდ მთავარ) მიმართულებად ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდით შეცვლას განიხილავს.

ეს კი სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფო გადატრიალება.

ბ-ნ ზურაბიშვილს ამ ტერმინზე ალერგია აქვს. თუ მაინცდამაინც თვლის, რომ

# დავით ზურაბიშვილის, სახელმწიფო გადატრიალებისა და სხვათა შესახებ...



გადატრიალება იყო 1991-1992 წლის დეკემბერ-იანვრის მოვლენები (რომლის იდეოლოგიურ შემადგენელს, სხვათა შორის, მისმა პარტიამ და პარტიულმა ყონადგამინც ბათქაბუჯაძემ არ მივი-და, ბევრს არ ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, მისი ლოგიკიდან სხვა დასკვნა ვერ გამოვიტანე.

ანალოგიურად შეგვიძლია, ვიმსჯელოთ 20 ივნისის მოვლენებზეც. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ადრინადად დაიგეგმა იგი თუ სპონტანურად იფეთქა გაუთვალისწინებელ გარემოებათა ზემოქმედების შედეგად. არც იმას აქვს მნიშვნელობა, რით იყვნენ შეიარაღებული აგრესიული მომიტინგეები. ფაქტია, მათ მიიღობეს კანონით დაცული სახელმწიფო დაწესებულების, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დაკავება (არა მხოლოდ მოინდომეს, დასაწყისში საკმაოდ მოზრდილმა ჯგუფმა შეაღწია კიდევ პარლამენტის შიდა ეზოში), რაც თავისთავად ანტიკონსტიტუციური ქმედებაა. ამ მიზნის მისაღწევად პარტიის აქტივისტები თავს დაესხნენ სპეცრაზმელებს, გამოიყენეს მათ წინააღმდეგ არა მხოლოდ ფიზიკური ძალა, არამედ ზიანის მიყენებისთვის გამოსადეგი ნებისმიერი, ხელთ მოხვედრილი საშუალება, მათ შორის – ლითონის საგნები. თავდამსხმელებმა მწყობრიდან გამოათრია სამართალდამცველები, ფიზიკურად გაუსწორდნენ და უკან მხოლოდ იმის შემდეგ დაიხიეს, როცა წესრიგის დაბრუნებამა მათ წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენეს.

მომიტინგეთა მიერ ამა თუ იმ ფორმით სპეცრაზმისთვის წინააღმდეგობის განევა უცხო ხილი არაა საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებშიც. უმეტეს შემთხვევაში, იგი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის დამახასიათებელი ნიშნებით ხასიათდება. ცალკეული ადამიანები სამართალდამცველებს ესვრიან ქვებს, ბოთლებს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, სპეცრაზმელთა მიახლოების შემდეგ კი სწრაფად ტოვებენ ტერიტორიას და გარ-



ბიან, რათა იგივე გაიმეორონ. **20 ივნისის აქციაზე პრინციპულად განსხვავებულ შემთხვევასთან ვამოწმებ სახმ. მომიტინგეთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი პირდაპირ ხელჩართულ ომში ჩაება სპეცრაზმთან. ეს დაპირისპირება მოხდა არა დისტანციურად, არამედ უშუალო კონტაქტის რეჟიმში, თანაც ზედ პარლამენტის შესასვლელის მომიჯნავე ტერიტორიაზე. ექსტრემალურ სიტუაციაში წინსვლის დაშვება არ განაგრძობს კანონით გათვალისწინებული საცხსაშუალებების დაუბრკოლებლად გამოყენების შესაძლებლობა და გვერდით რამ დამოკიდებული იყო დაპირისპირებულ მხარეთა კონტაქტის დაპირისპირება.**

**იქნებ ის მაინც აგვისხნას ბ-ნმა დავითმა, რა ესაქმებოდა პარლამენტის სხდომათა დარბაზში მთელი დღის განმავლობაში „ნაცმოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ წევრი დეპუტატების მიერ დაშვებული საშუალების საფუძველზე შესულ ჯგუფს? ისინი ხომ უსაქმოდ ისხდნენ საკრძოლებში, რადგან გადაწყვეტი მოვლენები გარეთ ხდებოდა, გამზირზე. ხომ არ უნდა შეესრულებინათ ამ პიროვნებებს საჭირო მომენტში (მასის მიერ სპეცრაზმელთა კორდონის გარღვევის შემთხვევაში) ტროას ცხენის მუცელში დამალული მებრძოლების ფუნქცია?**

ბ-ნი ზურაბიშვილისა და სხვა ზურაბიშვილების მთავარი არგუმენტი 20 ივნისის ამბების გადატრიალების მცდელობად შეფასების საქმეში ისაა, რომ სპეცრაზმზე თავდამსხმელები ცეცხლსასროლი იარაღით არ იყვნენ აღჭურვილი. მართლაც, სახელმწიფო გადატრიალების სხვადასხვა განმარტება ხაზს უსვამს ამ მომენტს.

სახელმწიფო გადატრიალების სალექსიკონო განმარტება იურიდიული ნორმა არ გახლავთ. არც მის შემქმნელებს აქვთ პრეტენზია სრულყოფილებაზე. მთავარი, რაზეც ყველა თანხმდება, უკვე აღვნიშნეთ – ესაა ლეგიტიმური ხელისუფლების ძალისმიერი გზით შეცვლის მცდელობა, ან განხორციელებული ფაქტი. სხვადასხვა ვითარებაში, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, მას შეიძლება ჰქონდეს სპეციფიკური თავისებურებანი. ეს თავისებურებანი ხსნის და განმარტავს მომხდარის შინაგან მექანიზმს, მაგრამ პრინციპულად არ ცვლის შინაარსს. ამიტომ, რაღაც ახალ გარემოებებზე დაყრდნობით მანიპულირება და სრულიად აშკარა ფაქტებზე წაყრუება წმინდა წყლის დემაგოგიას წარმოადგენს. ბ-ნი ზურაბიშვილი კი

სწორედ ამ მეთოდს იყენებს და საზოგადოებას ნაცარს აყრის თვლებში.

რა შეიძლება ჩაითვალოს 20 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ადგილობრივ თავისებურებად?


მოკლედ თუ ვიტყვით, ესაა მისი გარეგნულად მშვიდობიანი ხასიათი, რაც სრულ წინააღმდეგობაშია ნამდვილ მიზანთან და გამოყენებულ მეთოდებთან. თუ კიდევ უფრო დავაზუსტებთ, აქციის ორგანიზატორებს სურდათ, საქმე ისე წარმოეჩინათ, თითქოს ფორმალურად დეკლარირებული მშვიდობიანი აქცია მასების რევოლუციურ მღელვარებაში გადაიზარდა და ისინი მხოლოდ ხალხის ნებას დაემორჩილნენ. არ დაგავიწყდეთ, „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი იდეოლოგი ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილია, კაცი, რომელსაც ჭიპი აქვს მოჭრილი პოლიტიკურ ტექნოლოგიაში. მან კარგად იცის, რომ საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი და სამართალი, რამდენადაც შეუვალა ხელისუფლებათა შეიარაღებული დამხობის მიმართ, იმდენად ლოიალურად უყურებს მოვლენათა განვითარების მშვიდობიან, რევოლუციურ სცენარს. ამ მხრივ მას მდიდარი გამოცდილება აქვს და აქ, პირველ რიგში, სწორედ 2003 წლის 22 ნოემბერს ვგულისხმობ.

**მშვიდობიანი მიზანი – ეს ერთდროულად კამუფლაჟია და ინდულგენციაც, რომლითაც ყოფილი მმართველი გუნდი და მისი ლიდერი ცდილობენ, წინასწარ „გააბრაონ“ ხელისუფლების შეცვლის მათეშიგანი.**

გულახდილად რომ ვთქვათ, სახელმწიფო გადატრიალებასა და მშვიდობიან რევოლუციურ სცენარს საკმაოდ ბევრი რამ აქვთ საერთო. ძალის გამოყენება რევოლუციური სცენარის შემადგენელი ნაწილიცაა, თუმცა, ცხადია, არა იმ დოზით, როგორც გადატრიალების დროს. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა აქვს, სურათი ისე წარმოაჩინოს, თითქოს საქმე გვაქვს საზოგადოებრივი დასაშვებ, ხალხის მიერ მოძალადე რეჟიმთან ჭიდილში გამოვლენილ ფიზიკურ წინააღმდეგობასთან. სინამდვილეში კი ესაა კანონის ზღვარს გადასული ძალმომრეობა.

ამ თეორიული მსჯელობის შემდეგ პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, რომელიც, ალბათ, ბევრს გაუჩნდა და რომელსაც ბ-ნი ზურაბიშვილიც სვამს. კერძოდ – **როგორ უნდა ჩააბლო ხელში ოპოზიციას კალაუფლება იმ შემთხვევაში, თუ აბრასიული მომიტინგეები საცხსაშუალის წინააღმდეგობას დაკლავდნენ და პარლამენტში შეიჭრაოქნებ?**

# როგორ გავატაროთ ზაფხული საქართველოში



## სოტა ფული, შეღავათი შორი ტურები

დაბალბიუჯეტიანი და უფრო ხანგრძლივი დასვენებისთვის შეგიძლიათ ესტუმროთ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს, ლაგოდეხის ან მტირალას ნაკრძალს. ლამის გასათვებად სანოლს 20 ლარად იქირავებთ. ამ ფასად ქირაობთ სანოლს საერთო ოთახში, სადაც ორსართულიანი სანოლებია განთავსებული. აქტიურ ტურისტულ სეზონზე სჯობს ადგილები წინასწარ დაჯავშნოთ, ადგილზე ჩასული ლამის გასათვების გარეშე რომ არ დარჩეთ. ამ დროს მოთხოვნა დიდია.

დიხაშოს შორის სამკურნალო გოგირდის აბანოები, ცაგერის სოფელ ლაილაშში ოქრონიშის აუზი, დამბაშის კანიონი.

## საშუალო და ოდნავ მაღალი ბიუჯეტით ოჯახთან ერთად მიღისართ...

თუკი ბიუჯეტს უფრო გაზრდით, მაშინ საოჯახო სასტუმროები თქვენთვისაა. ფასი სამჯერადი კვებით საქართველოს მთებში ერთი ადამიანისთვის 60-80 ლარიდან იწყება. იმ შემთხვევაში, თუკი თბილისიდან რაჭაში, თუშეთში ან სვანეთში გადაწყვეტთ წასვლას, დროის და ენერჯის დასაზოგად მგზავრობისთვის თვითმფრინავს გირჩევდით. მესტიის მიმართულებით ფრენა ნატატარიდან ზრდასრული ადამიანისთვის 95 ლარი ღირს, ამბროლაურში – 50 ლარი, ბათუმში – 125; 10 დღით დასვენება 4 ადამიანისთვის დაახლოებით 4 000 ლარი დაგიჯდებათ. საოჯახო სასტუმროებთან შედარებით ოდნავ ძვირია საშუალო რანგის სასტუმროები და ოდნავ იაფია ჰოსტელები.

60-80 ლარიდან იწყება საოჯახო სასტუმროები ზღვისპირეთშიც. თუ თანხის დაზოგვას აპირებთ, მაშინ გირჩევთ, სასტუმრო კვებით აილოთ.

## თუკი დასვენებისთვის უფრო ნინანდა დაზოგავთ

იმ შემთხვევაში, თუკი კომფორტისთვის ხარჯებს არ დაზოგავთ და საუკეთესო პირობების შერჩევას გადაწყვეტთ, დიდი არჩევანი არ გაქვთ, მაგრამ რამდენიმე სასტუმროს შეგიძლიათ ესტუმროთ. „ვარძია რეზორტი“ სამცხეში, „ყაზბეგი რეზორტი“ სტეფანწმინდაში, „რედისონი“ წინანდალში, „სანსეტ შოვი“ რაჭაში და „შერატონი“ ბათუმში, სავარაუდოდ, შესაბამისი არჩევანი იქნება. ამ შემთხვევაში ერთი ლამის ფასი ორი ადამიანისთვის საუზმით 300-დან 600 ლარამდე მერყეობს. საშუალოდ დასვენების ფასი 4 ადამიანისთვის 10 დღით ყველაზე ცოტა, 20 000 ლარი დაგიჯდებათ.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემების მიხედვით, უცხოელი ვიზიტორები თბილისის შემდეგ ყველაზე ხშირად ბათუმს სტუმრობენ, ადგილობრივი ტურისტები კი დასვენებისა და გართობისთვის ძირითადად სამცხე-ჯავახეთს, მცხეთა-მთიანეთსა და აჭარას ირჩევენ.

ნანტასია არაბული



## სოტა ფულით ხსლო მანძილებზე

მცირე ბიუჯეტის შემთხვევაში მოკლე ტურებისთვის თბილისიდან შეგიძლიათ, რამდენიმე ერთდღიანი ტური დაგეგმოთ.

თუ ბევრი დრო არ გაქვთ და დღის ქალაქგარეთ გრილად და უსაფრთხოდ გატარებას გადაწყვეტთ, შეგიძლიათ, თბილისის ეროვნული პარკით დაინწყოთ. პარკთან მიხვალთ ავტომობილით და საზოგადოებრივი ტრანსპორტითაც.


ერთდღიანი ტურები შეგიძლიათ, დაგეგმოთ ასევე კოჯორში, ბეთანიაში, ბირთვისსა და სამშვილდეში – ოთხივე მიმართულებით რეგულარულად დადის საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

## დასვენებისთვის კიდეც ერთი გზაა საქარე

ადგილების ქირაობა, სადაც გარკვეული ინფრასტრუქტურა (საკვები, ცხელი წყალი და სველი წერტილები) დაგხვდებათ, ღამეს კი საკუთარ კარავში გაათევთ. ასეთი ადგილები სოციალიზაციის და გართობის მეტ საშუალებას იძლევა, ვიდრე უკაცრიელ ადგილებში კარვით მარტო წასვლა და უსაფრთხოების მხრივაც, შესაძლოა, უკეთესი არჩევანი იყოს. საკემპინგე ადგილები საქართველოში უკვე ბევრ ადგილას გვხვდება: სიონში, ჯუთაში, ყაზბეგში, ლეჩხუმში, ფარავნის ტბასთან, ჩირდილში, პანკისში და და შავი ზღვის სანაპიროზე.

## თითქმის უფასოდ

თუკი დასვენებისთვის მცირე ბიუჯეტით გაქვთ, რამდენიმე საინტერესო ადგილს გირჩევთ, სადაც დროის გატარება საერთოდ არაფერი არ დაგიჯდებათ; თერმული აუზები ვანში, სოფელ ამალეხასა და



# აღმოჩენილია 50 000 წლის წინანდალ ნანდაკბალები საქართველოში

საძარბაველოს ეროვნული მუზეუმის საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია ტყიბულის მუნიციპალიტეტში მდებარე ცუცხვათის მღვიმეში მუშაობს.

ცუცხვათის ცამეტარუსიანი მღვიმეების შესწავლა გასულ საუკუნეში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის ინიციატივით დაიწყო. 1970-1971 და 1974-1975 წლებში საქართველოს ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი და პალეობიოლოგიის ინსტიტუტი აქ ერთობლივად აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს. მღვიმეების ტერიტორიაზე მდებარე მღვიმეებში მიკროსკოპული იქნა შუა პალეოლითის (ძველი ქვის ხანის შუა პერიოდი, დაახლ. 400-40 ათასი წლის წინათ) ქვის იარაღები, ასევე, განამარხებული ცხოველების ძვლები. განსაკუთრებით აღსანიშნავია,

მღვიმეების ტერიტორიაზე არსებულ ენ. „ბრინჯაოს მღვიმეში“ მოპოვებული ნეანდერტალელი ბავშვის საღებავი კბილი, რომელიც ახალი კვლევების თანახმად, დაახლ. 50 000 წლით თარიღდება.

ხანმოკლე ხასიათის სავსე სამუშაოები ჩატარდა 1998-1999 და 2003-2004 წლებშიც, თუმცა, ფართომასშტაბიანი სამუშაოების მიუხედავად, მღვიმეების უდიდესი ნაწილი 2016 წლამდე შეუსწავლელი იყო.

ახალი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ცუცხვათის მღვიმეებში ნეანდერტალელთა არსებობის კვალთან ერთად გამოვლინდა ძველსათვის სრულიად ახალი, უკვე ჰომო საპიენსისათვის (მოაზროვნე ადამიანი, ანუ ჩვენი, თანამედროვე ადამიანის სახეობა) დამახასიათებელი ზედაპალეოლითური (ქვის ხანის გვიანი პერიოდი – 80000-12000 წლის წინანდელი) ფენები. ასევე, „ბრინჯაოს მღვიმეში“ გაითხარა ქალკოლითური (სპილენძ-ქვის ხანა, მეტალოურგიის სანყისები) ნამოსახლარი.

ცუცხვათის მღვიმეების შესწავლის მიზანმიმართული ნეანდერტალელთა არსებობის კვალთან ერთად გამოვლინდა ძველსათვის სრულიად ახალი, უკვე ჰომო საპიენსისათვის (მოაზროვნე ადამიანი, ანუ ჩვენი, თანამედროვე ადამიანის სახეობა) დამახასიათებელი ზედაპალეოლითური (ქვის ხანის გვიანი პერიოდი – 80000-12000 წლის წინანდელი) ფენები. ასევე, „ბრინჯაოს მღვიმეში“ გაითხარა ქალკოლითური (სპილენძ-ქვის ხანა, მეტალოურგიის სანყისები) ნამოსახლარი.


ცუცხვათის მღვიმეების შესწავლის მიზანმიმართული ნეანდერტალელთა არსებობის კვალთან ერთად გამოვლინდა ძველსათვის სრულიად ახალი, უკვე ჰომო საპიენსისათვის (მოაზროვნე ადამიანი, ანუ ჩვენი, თანამედროვე ადამიანის სახეობა) დამახასიათებელი ზედაპალეოლითური (ქვის ხანის გვიანი პერიოდი – 80000-12000 წლის წინანდელი) ფენები. ასევე, „ბრინჯაოს მღვიმეში“ გაითხარა ქალკოლითური (სპილენძ-ქვის ხანა, მეტალოურგიის სანყისები) ნამოსახლარი.

ცუცხვათის მღვიმეების შესწავლის მიზანმიმართული ნეანდერტალელთა არსებობის კვალთან ერთად გამოვლინდა ძველსათვის სრულიად ახალი, უკვე ჰომო საპიენსისათვის (მოაზროვნე ადამიანი, ანუ ჩვენი, თანამედროვე ადამიანის სახეობა) დამახასიათებელი ზედაპალეოლითური (ქვის ხანის გვიანი პერიოდი – 80000-12000 წლის წინანდელი) ფენები. ასევე, „ბრინჯაოს მღვიმეში“ გაითხარა ქალკოლითური (სპილენძ-ქვის ხანა, მეტალოურგიის სანყისები) ნამოსახლარი.



მედროვე მეთოდების პროგრესი, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული მასალა და ამ ძეგლებზე არსებული ხელუხლებელი კულტურული ფენები უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა, დეტალურად გამოვიკვლიოთ ნეანდერტალელები, მათი ქცევა და თანამედროვე ადამიანთან ურთიერთობა თუ ურთიერთკავშირის შესაძლებლობა. ასევე, ვეცდებით, გავცეთ პასუხები ნეანდერტალელთა გადაშენების მიზეზებს.

ცუცხვათის მღვიმე ნარმოადგენს დაცულ ტერიტორიას და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მმართველობაშია. ექსპედიციის სამეცნიერო ხელმძღვანელია საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ნიკოლოზ წიქარიძე.




ერება უნდა ჩვენი.

რატომ უნდა დავიძირდეთ, სანამ ვიფიქრებდეთ?..

- 975 რას დედამიწის ზურგზე მონაკილენ...
976 დილაშენებში ოსტატს პირველ ბრძოლაში კლავენ.
977 ოპ, ნეტავი სახელმწიფოს უმაღლესი ღირსება ადამიანური ყოფილიყო.
978 დაფნის გვირგვინის დადგმა იგივეა, რომ შენი თავის ზომა გასცე.
979 ზოგიერთმა ეროვნულმა ტრაგედია ამ ანტრეპტი არ იცის.
980 დომბში პროგრესის საწინდარია, იმათი ახსნა-განმარტება საშიშია, მსხვერველ გვიხდება.
981 სად არის სიბრძნის საკრძალო? სადა და, სადაც დაკრძალეს.
982 მწარს, რომ ოდესმე ბოლო მოედება ორგანულ სიცოცხლეს, მაგრამ არა ორგანიზაციულს.

დაუპარსხნელი აზრები
ყურადღებო ადამიანის ხედვით, აძირობ სშიხარ უნდა უიბან დეთ ხედებს
ასე აბოზდა სტანისლავ უში ლეტი
ქართულად გადმოაწერა გურამ გოგიაშვილმა



ასე აბოზდა სტანისლავ უში ლეტი

ქართულად გადმოაწერა გურამ გოგიაშვილმა


- 999 ადამიანები იზრდებიან, დამალვა გაუძნელდებათ.
1000 გედნიერების კონტინგენტი უკვე არის, არ გვყოფნის მხოლოდ ბლანკები.
1001 შესდი კოლექტიურად!
1002 რამდენი უკვდავება აწყობილა სხვათა და სხვათა სიცოცხლით!
1003 დიდი გრძნობების მომღერალნი ყოველთვის როდი ახერხებენ ამ გრძნობათა საკუთარ მკერდში დატევას.
1004 მხოლოდ სპექტაკლი გვიჩვენებს, რისი შექმნა შეუძლია იდეისგან რეჟისურას.
1005 შიბ ქვეშს ყრიან, სიღრმეს ისე სწავლობენ.
1006 გუნდში მღერის, მაგრამ მხოლოდ სოლო პარტიებს.
1007 სიასლი: უჩინაჩინის ალიკაპი.
1008 მტარის ჩამოჰყრავს ხოლმე სათანადო სიმს, რათა გაწყვიტოს.
1009 არა და არ მინდა დაჯერება, რომ სიცრუე წიგნის მეჭდვის შემოღებამდეც არსებობდა.

- 1010 შოპინოზში ისეთი ბრტყელი რამ არის, რომ ყველგან დაბეჭდა.
1011 მოქალაქის რაგვარ ქიმიურ შემადგენლობას დასჯენდება სახელმწიფო?
1012 ნუ მიაგებ პატივს იმათ, ვინც ის აგყარა.
1013 შამი კინოლოგთა!
1014 შინს დღეს დაამტკიცებდა, რომ სპარტაკის შთამომავალია, სახელს გაითქვამდა არა როგორც მემარცხენეთა ლიდერი, არამედ როგორც რომის არისტოკრატიის მშვენიერება.
1015 ერთ ასეთ სურათს შეგეწარა: სინჯარაში სისხლი დუღდა. ერთ-ერთი ასისტენტი, გვერდით რომ იდგა, გულმოდგინედ იწერდა პაციენტის გვანს.
1016 სამყაროს შესახებ უცოდინარობის გავრცელებასაც მეცნიერული დამუშავება სჭირდება.

- 1017 რისგან გაჩნდი, გენეტიკაზე დამოკიდებული, რა გახდები - პოლიტიკაზე.
1018 ყოველი რეჟიმი ბოლოს და ბოლოს ძველი რეჟიმი ხდება.
1019 იმდროს კატეგორიული იმპერატივი. უწინ ძახილის ნიშანი კეტსა ჰგავდა, ამჟამად რაკეტას ჰგავს.
1020 რომსა კაცობაზე მცენიერების გემოს გაგება უნდათ, მეცნიერებს ენას აჭრიან.
1021 მოდით, ადამიანის ინტერნის ესთეტიკისთვის ვიბრძოლოთ.
1022 იმდროინდელი ავტორის უმეტესი პერსონაჟი კი განათლებულნი არიან.
1023 არის ზოგიერთი ნაწარმოები, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პროგრესტეს საჩუქრად ისახება.

- 1024 შისას შიშველი სიმართლისა ეშინია, დგას და ტყავს აძრობს იმ სიმართლეს.
1025 შუმანოვიმ კაცთა მოდგმის სიკვდილს მოესწრება!
1026 იმათ ნუ დაუჯერებთ. კომპასიანი ოდისევსები არიან.
1027 ადამიანები სულ უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს. დედამიწაზე მალე ტევა აღარ იქნება.
1028 შერს ერთი ეგვიპტური „წართქმის წიგნი“ ვერ სხნის, რას ნიშნავს თავისუფლებაზე ნანახი სიბზარი.

(გაგრძელება იქნება)



გაგრძელება დასაწყისი №119-122, 124-125, 127, 129-131, 135, 139, 142-147, 151, 153, 154, 157



ჭიდაობა

4 პოლონური, 6 რუმინული...

მარშაშაში გამართულ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა პეტლიასინსკის სახელობის საერთაშორისო ტურნირში საქართველოს ხუთი წარმომადგენელი მონაწილეობდა და ოთხი მათგანი სამშობლოში მედლით დაბრუნდა. განსაკუთრებით 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ნუგზარ წურწუშია გამოირჩა. მან დამაჯერებლად სძლია კონკურენტებს - ამერიკელ მაქს ნოვრის (8:1), თურქებს - აიაზჩი დოგუზსა (6:0) და მურატ ჯანაიას (11:0), ხოლო გადაწყვეტილებების პაექრობაში რუსეთელ ელჩინ იბრაგიმოვის 8:0 მოუგო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ქართველთაგან ლევან ქაჯარაძემ (67 კგ), შმაგი ბოლქვაძემ (72

კგ) და ლაშა გობაძემ (87 კგ) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ოლიმპიურმა პრიზიორმა შმაგი ბოლქვაძემ ნახევარფინალი უკრაინელ მაქსიმ ევტუშენკოსთან 2:4 დათმო, „ბრინჯაოსთვის“ პაექრობაში კი ჩინელ ჰუიუნ ჩანს 5:0 აჯობა.

დილის ორთაბრძოლების შემდეგ ქაჯარაძემ და გობაძემაც, რომლებმაც ზედა წონაში იჭიდავეს (მწვრთნელებმა წონა არ დააკლებინეს), საღამოს დამამშვიდებელში იასპარეზეს. ქაჯარაძემ ჯერ პოლონელ რომან პაცურკოვსკის, შემდეგ თურქ ჰაჯი კარაკუსს მოუგო.

„კლასიკოსთა“ მეორე ნაკრებმა რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში იონ კორნიანუს და ლადისლაუ სიმონის სახელობის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა მიიღო. ჩვენებმა 1 ოქროს, 3 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს.

77 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართული ფინალი გაიმართა - გელა ბოლქვაძემ თანაგუნდელ დემურ ქაჯარაძეს აჯობა. ამავე წონაში ბრინჯაოს მედალი ბაკურ გოგოლს ხვდა. ხელის ტრავმის გამო ფინალები ვერ იჭიდავეს გურამ ხეცურიაშვილმა (87 კგ) და გიორგი მელიამ (97 კგ), რის გამოც ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ, ხოლო 72 კილოში იური ლომაძე მესამე ადგილზე გავიდა.

ლევან ცინცაძე



ძიუდო

ესაც მეცხრა

ბეზრი იფიქრა თუ ცოტა, მწვრთნელთა საბჭომ დიდი ხნის განმავლობაში საბოლოო გადაწყვეტილება გამოცდილების სასარგებლოდ მიიღო - იაპონიაში 25 აგვისტოდან 1 სექტემბრის ჩათვლით გასამართავ მსოფლიო ძიუდოისტთა ჩემპიონატში 90 კგ წონით კატეგორიაში ევროპის მესამე პრიზიორი ბექა ლვინიაშვილი იჭიდავეს, ხოლო მისი მთავარი კონკურენტი გელა ზაალიშვილი +110 კილოში ფინეთის ქალაქ ვანტაში კონტინენტის ახალგაზრდულ პირველობაზე გამოვა (12-15 სექტემბერი).

ასე რომ, „ჯვაროსნები“ ამომავალი მზის ქვეყანაში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრებიან: ლუხუმ ჩხვიმიანი, ამირან პაპინაშვილი (60), ვაჟა მარგველაშვილი, ბაგრატ ნინიაშვილი (66), ლაშა შავდათუაშვილი



(73), ლუკა მაისურაძე (81), ბექა ლვინიაშვილი (90), ვალერი ლიპარტელიანი (100) და გურამ თუშიშვილი (+100).

რაც შეეხება ქალთა ტურნირს, ძიუდოს სამშობლოში საქართველოს სპორტულ ღირსებას უკრაინიდან გადმოყვანილი ტატიანა ლევიცკა-შუკვანი (52 კგ) დაიცავს.

კობა კობახიძე

ფეხბურთი

„საბურთალო“ არარატი დალაშქრა

სანდრო ალთუნაშვილს მიმე ტრავმის გამო მთელი შარშანდელი სეზონი გაუცდა. აღარაფერს ვამბობთ ლაზარეთის ძველთაძველ ბინადარ ლევან ყენიაზე, რომელსაც ბიულეტენების ხანგრძლივობით ძნელად თუ შეედრება ვინმე.

სიმბოლურია, რომ სწორედ მათი გოლებით მოახერხა საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა „საბურთალომ“ გარდატეხის შეტანა ერევანში „არარატ არმენიასთან“ ევროპა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის უიღბლოდ დაწყებულ პირველ შეხვედრაში, რომელსაც შესვენებამდე 0:1-ს აგებდა (ბურთი კობიალკომ გაგვიტანა). ასეა, როცა გენდობიან.

თავისთავად, ამ გუნდთან თბილისის დინამოელთა შეხვედრებს საკავშირო ჩემპიონატებში განსაკუთრებული პრინციპულობა გამოარჩევდა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თანამედროვე „არარატს“ უკვე შორეული 1973 წლის სეზონში დუბლის შემსრულებელ სახელოვან ნინამორბედთან მხოლოდ სახელი აკავშირებს.

